.

დამტკიცებულია
ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის
რექტორის 2025 წლის 12 დეკემბრის #03/50 ბრძანებით

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის

წესები და პირობები

2025

.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

1. ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები (შემდეგში – წესი) ადგენს ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის (შემდეგში სკოლა-გიმნაზია) ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებსა და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს.
2. ამ წესის მიზანია:
   ა) ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება;
   ბ) სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;
   გ) სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება;
   დ) ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა;
   ე) სკოლა-გიმნაზიის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირებისა და სკოლა-გიმნაზიის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მოქმედების ხელშეწყობა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს, ამ წესის მიზნებისთვის აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
   ა) საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის – ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ დამკვირვებელს გარემოებათა გათვალისწინებით დასკვნის გასაკეთებლად;
   ბ) სკოლა-გიმნაზიის თანამშრომლები – სკოლა-გიმნაზიის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პირები (გარდა მასწავლებლისა), ასევე სკოლა-გიმნაზიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები;
   გ) სკოლა-გიმნაზიის დირექცია - სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი, მისი მოადგილეები, ბუღალტერი;
   დ) სკოლა-გიმნაზიის უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო (შემდეგში - მრჩეველთა საბჭო) - სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კოლეგიალური ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს სკოლა-გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვასა და სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციის მიცემას;
   ე) სასკოლო დრო – სკოლა-გიმნაზიის სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროცესის, აგრეთვე სკოლა-გიმნაზიის მიერ ინიცირებული, ორგანიზებული, კონტროლირებული, დაფინანსებული ნებისმიერი ღონისძიების მიმდინარეობის დრო;
   ვ) კანონიერი წარმომადგენელი – მოსწავლის მშობელი ან/და სხვა კანონიერი წარმომადგენელი, ასევე მათ მიერ უფლებამოსილი შესაბამისი პირი;
   ზ) რესურსცენტრი – სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – საგანმანათლებლო რესურსცენტრი;
   თ) უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება – იმავე სქესის უფლებამოსილი პირის მიერ მოსწავლის დათვალიერება მეტალოდეტექტორის გამოყენებით, ფიზიკური შეხების გარეშე ან/და ნივთის დათვალიერება მეტალოდეტექტორის გამოყენებით;
   ი) უფლებამოსილი პირი – სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი, რომელიც სკოლა-გიმნაზიის

ტერიტორიაზე, სასკოლო დროს პასუხისმგებელია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე.

კ) მოძღვარი - სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი ან მოსწავლის მოძღვარი, რომელსაც იგი ასეთად მიიჩნევს.

ლ) სკოლა-გიმნაზიის კომენდანტი - სკოლა-გიმნაზიის თანამშრომელი, რომელიც ვალდებულია სასწავლო პროცესის განმავლობაში აკონტროლებს სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სპეციალური ნებართვის გარეშე უცხო პირთა დაშვების საკითხს და ზედამხედველობს მოსწავლეთა ქცევას დერეფანში დასვენებებზე და საგაკვეთილო პროცესის მსვლელობისას.

მ) სამინისტრო - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

მუხლი 3. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები

1. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის სკოლა-გიმნაზია ვალდებულია:
   ა) განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები;
   ბ) უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისას უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
2. სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ხორციელდება უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირისა/პირებისა და უფლებამოსილი პირის საშუალებით.
3. სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია უფლებამოსილი პირი და სკოლა-გიმნაზიის დირექცია;
4. სკოლა-გიმნაზიის შენობის დაცვას უზრუნველყოფს სკოლა-გიმნაზიის დარაჯი;
5. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად, სკოლა-გიმნაზია ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განათავსოს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა.

თავი II. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები

მუხლი 4. ინფორმირებულობის უზრუნველყოფა

1. ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით სკოლა-გიმნაზია ვალდებულია სკოლა-გიმნაზიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განათავსოს:
   ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი – 112 (შემდეგში – 112);
   ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცხელი ხაზის ნომერი – (032) 2 200 220;
   გ) უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის ნომერი;
   დ) სკოლა-გიმნაზიის მოძღვრის მობილური ტელეფონის ნომერი;
   ე) სკოლა-გიმნაზიის კომენდანტის მობილური ტელეფონის ნომერი;
   ვ) სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგის მობილური ტელეფონის ნომერი;
   ზ) საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი – 598083006, 1481;
2. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 დღისა მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების საშუალებით მიაწოდოს

.

ინფორმაცია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების/უწყებების ნომრების, ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ.

მუხლი 5. მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა

1. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენელი ვალდებულნი არიან სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლა-გიმნაზიის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა ყველა მოსწავლისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით.
2. მოსწავლეთა უფლებები და წესები, რომელთა გაცნობა ხორციელდება სკოლა-გიმნაზიის მიერ მოსწავლეებისათვის, უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ სამართლებრივ აქტებს:
   ა) „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
   ბ) „მოსწავლის ქცევის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს №79/ნ ბრძანება (შემდეგში – მოსწავლის ქცევის კოდექსი);
   გ) „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 ივლისის №57/ნ ბრძანება (შემდეგში – მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი);
   დ) „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანება;
   ე) სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესი.
3. მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა შესაძლებელია განხორციელდეს მათი ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. დაუშვებელია მოსწავლისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა დოკუმენტზე ხელმოწერით.
4. მოსწავლისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობის ღონისძიებები უნდა იყოს პოზიტიური ხასიათის მატარებელი და არ ისახავდეს მიზნად მოსწავლეებში შიშის გრძნობის გაღვიძებას, დასჯის შიშის შექმნას და სხვა, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ასაკობრივი თავისებურებები.

მუხლი 6. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასება

1. სკოლა-გიმნაზიის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასებას ახორციელებენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები წერილობითი ფორმით, ანონიმურობის დაცვით.
2. სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასების კითხვარი (შემდეგში – შეფასების კითხვარი) უნდა იძლეოდეს სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მისი შემვსები პირის მიერ პრობლემის გადაწყვეტის გზების შეთავაზების შესაძლებლობას.
3. შეფასების კითხვარს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი.
4. სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასება ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ და უნდა დასრულდეს ზაფხულის არდადეგების დაწყებამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე.
5. მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების მიერ შეფასების კითხვარის შევსებას უზრუნველყოფენ კლასის ხელმძღვანელები, ხოლო მასწავლებლების მიერ შეფასების კითხვარის შევსებას უზრუნველყოფს სკოლა-გიმნაზიის დირექცია.

6. შეფასების კითხვარის წერილობითი ფორმით შევსების შემთხვევაში, თითოეული კლასის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების მიერ შევსებულ შეფასების კითხვარებში ასახული ინფორმაციის განზოგადებას სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში იდენტიფიცირებული პრობლემების მიხედვით, მათ დაჯგუფებას შემვსები პირების სტატუსის გათვალისწინებით (მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები) და განზოგადებული ინფორმაციის მიწოდებას სკოლა-გიმნაზიის დირექციისათვის ზაფხულის არდადეგების დაწყებამდე არანაკლებ 23 კალენდარული დღით ადრე.
7. შეფასების კითხვარის წერილობითი ფორმით შევსების შემთხვევაში, სკოლა-გიმნაზიის დირექცია უზრუნველყოფს მასწავლებლების მიერ შევსებული შეფასების კითხვარების განზოგადებას სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში იდენტიფიცირებული პრობლემების მიხედვით, ასევე კლასის ხელმძღვანელების მიერ მიწოდებული განზოგადებული ინფორმაციის დაჯგუფებას შემვსები პირების სტატუსისა და სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში იდენტიფიცირებული პრობლემების მიხედვით ზაფხულის არდადეგების დაწყებამდე არანაკლებ 15 კალენდარული დღით ადრე.
8. ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული განზოგადებისას დაუშვებელია სკოლა-გიმნაზიის დირექციის მიერ რომელიმე პრობლემის უგულებელყოფა.
9. სკოლა-გიმნაზიის დირექცია ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უზრუნველყოფს სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მასწავლებლების, მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებისა და მათ მიერ შეთავაზებული გადაწყვეტის გზების შესახებ ერთიანი ანგარიშის მომზადებას ზაფხულის არდადეგების დაწყებამდე არანაკლებ 10 კალენდარული დღით ადრე.

მუხლი 7. ძალადობის რისკების შეფასება სკოლა-გიმნაზიაში

1. ადრეულ ეტაპზე ძალადობის პრევენციასა და ძალადობის განმეორების საფრთხეების იდენტიფიცირების მიზნით, სკოლა-გიმნაზია ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ განახორციელოს ძალადობის რისკების შეფასება მოსწავლეებსა და მასწავლებლებში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეფასებისას დაცული უნდა იყოს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ანონიმურობა.
3. მოსწავლეებში ძალადობის რისკების შეფასება არის სკოლა-გიმნაზიის მიერ ძალადობის პრევენციის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების საფუძველი.

მუხლი 8. ფსიქოლოგიური დახმარების მიღება

1. მოსწავლეებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, აგრეთვე სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენლებს ან/და მასწავლებლებს ფსიქოლოგიური დახმარების მიღება შეუძლიათ:
   ა) სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგთან კონსულტაციით;
   ბ) ფსიქოლოგთან სატელეფონო კონსულტაციით.
2. ფსიქოლოგიური მომსახურების ფარგლებში სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგი მოსწავლეს, კანონიერ წარმომადგენელს, სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენელსა და მასწავლებელს უწევს კონსულტაციას პრობლემების შესაძლო გადაჭრის გზებთან დაკავშირებით, ამასთან იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია პრობლემის გადაჭრის მიზნით ფსიქოლოგიური მომსახურების მიღება, უწევს კონსულტაციას ამ მომსახურების მიღების გზებთან დაკავშირებით და უხსნის აღნიშნული სერვისის მნიშვნელობას.

მუხლი 9. საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები

.

1. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში, სულ მცირე ორჯერ, აწარმოოს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია:
   ა) ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ;
   ბ) დისკრიმინაციის წინააღმდეგ;
   გ) ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ;
   დ) ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით.
2. მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია სკოლა-გიმნაზიამ შეიძლება აწარმოოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე:
   ა) დისკუსიების/დებატების მოწყობით;
   ბ) საკლასო/სასკოლო ესეების კონკურსის გამართვით;
   გ) საკლასო/სასკოლო ნახატების კონკურსის გამართვით;
   დ) სპორტული შეჯიბრების ორგანიზებით;
   ე) საკლასო/სასკოლო თეატრალური წარმოდგენების გამართვით;
   ვ) ფილმების/ვიდეორგოლების ჩვენებით;
   ზ) როლური თამაშების გამართვით;
   თ) სხვადასხვა ხასიათის კვირეულების მოწყობით;
   ი) სკოლა-გიმნაზიის მოძღვართან შეხვედრების ორგანიზებით;
   კ) სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთან ან/და უბნის ინსპექტორთან მოსწავლეების შეხვედრების ორგანიზებით;
   ლ) შესაბამის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებთან მოსწავლეების შეხვედრების ორგანიზებით.
3. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში, სულ მცირე ერთხელ, აწარმოოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:
   ა) მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში;
   ბ) შვილთან ეფექტური კომუნიკაცია;
   გ) ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;
   დ) ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;
   ე) ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;
   ვ) ჯანსაღი ცხოვრების წესი;
   ზ) სხვა საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფს კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის ამაღლებას მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში.
4. მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ორგანიზების მიზნით სკოლა-გიმნაზია უფლებამოსილია:
   ა) მოიწვიოს მოძღვარი;
   ბ) მოიწვიოს ფსიქოლოგი ან/და სხვა სპეციალისტი;
   გ) მოიწვიოს ცნობილი ადამიანები, სპორტსმენები;
   დ) მოიწვიოს მართლწესრიგის ოფიცერი ან/და უბნის ინსპექტორი;
5. საგანმანათლებლო-საინფორმაციო ღონისძიებების განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები.

მუხლი 10. უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო

1. სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს (შემდეგში მრჩეველთა საბჭო).
2. მრჩეველთა საბჭო:

ა) განიხილავს სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის;

ბ) განიხილავს სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მასწავლებლების, მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებისა და მათ მიერ შეთავაზებული გადაწყვეტის გზების შესახებ ერთიან ანგარიშს, მასზე დაყრდნობით შეიმუშავებს სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის;

გ) ისმენს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორის ანგარიშს გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით;

დ) უფლებამოსილია შეიმუშაოს ინიციატივები სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ჩატარების შესახებ და წარუდგინოს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის;

ე) უფლებამოსილია მიმართოს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს მოსწავლეთა/ კანონიერ წარმომადგენელთა საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ორგანიზების მოთხოვნით.

3. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

ა) აღმასრულებელი დირექტორი ან/და მისი მოადგილე;

ბ) უფლებამოსილი პირი – მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) პედაგოგიური საბჭოს სამი წარმომადგენელი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კლასების ხელმძღვანელები);

დ) შესაბამისი რესურსცენტრის უფროსი ან თანამშრომელი;

ე) სკოლა-გიმნაზიის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე.

4. მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, სათათბირო ხმის უფლებით, მრჩეველთა საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იქნენ მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები, მასწავლებლები, ასევე სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები.
5. მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი აირჩევა მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობიდან, მრჩეველთა საბჭოს წევრების მიერ, ხმათა უმრავლესობით. მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე უძღვება მრჩეველთა საბჭოს სხდომებს, ორგანიზებას უწევს მრჩეველთა საბჭოს საქმიანობას და განსაზღვრავს მრჩეველთა საბჭოს სხდომის დღის წესრიგს.
6. მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის ან მდივნის არყოფნის შემთხვევაში, მათ უფლებამოსილებას, მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, ახორციელებს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ან ერთ-ერთი წევრი.
7. მრჩეველთა საბჭოს სხდომების პერიოდულობას, დაკისრებული ფუნქციების გათვალისწინებით, განსაზღვრავს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე. მრჩეველთა საბჭოს სხდომები იმართება სასწავლო წლის განმავლობაში ოთხჯერ მაინც.
8. მრჩეველთა საბჭოს სხდომას იწვევს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, საკუთარი ინიციატივით ან მრჩეველთა საბჭოს წევრის თხოვნის საფუძველზე.
9. მრჩეველთა საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მრჩეველთა საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.
10. მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია მრჩეველთა საბჭოს სხდომის თავმჯდომარის ხმა.

.

11. მრჩეველთა საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ მრჩეველთა საბჭოს სხდომის თავმჯდომარე, მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრები და მდივანი.
12. მრჩეველთა საბჭოს თითოეული წევრი ვალდებულია დაიცვას სხდომაზე განხილული ინფორმაციის (მათ შორის პერსონალური მონაცემების) კონფიდენციალურობა და არ დაუშვას მისი გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
13. დაუშვებელია ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოწვეული პირებისათვის (მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები) სხვა მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების შესახებ პერსონალური ინფორმაციის გაცნობა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული პირები არიან დაკავშირებული სკოლა-გიმნაზიიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ერთსა და იმავე შემთხვევასთან.

თავი III. სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები

მუხლი 11. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა

1. სკოლა-გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას წარმოადგენს:
   ა) საგანგებო სიტუაციები (ხანძარი, მიწისძვრა, წყალდიდობა და ა.შ.);
   ბ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი (ფართო გავრცელების პოტენციალის მქონე) გადამდები დაავადების შემთხვევა სკოლა-გიმნაზიაში (შემდეგში – გადამდები დაავადების შემთხვევა).
   გ) სუიციდური აზრი, სუიციდის მცდელობა, სუიციდი;
   დ) თვითდაზიანება;
   ე) ფეთქებადი ნივთიერებების სკოლა-გიმნაზიაში აღმოჩენა ან სკოლა-გიმნაზიაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შეტყობინება;
   ვ) მოსწავლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის ქონა, ასევე იმ საგნის ქონა, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენით მოპოვებული ნივთისა და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნისა და დოკუმენტის ქონა, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად;
   ზ) მოსწავლის/მასწავლებლის/სკოლა-გიმნაზიის სხვა თანამშრომლის/მოსწავლის მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის მიერ თამბაქოს, ალკოჰოლის ან/და ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შეტანა, რეალიზაცია, მოხმარება სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე ან/და მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნა;
   თ) მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობა ან/და დაგვიანება საპატიო მიზეზის გარეშე, იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულის შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი არ არის ინფორმირებული, ასევე მოსწავლის მიერ საგაკვეთილო/სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კლასის ან/და სკოლა-გიმნაზიის დატოვება შესაბამისი საფუძვლისა და ნებართვის გარეშე;
   ი) მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობა;
   კ) ოჯახის შექმნის მიზნით 18 წლამდე მოსწავლის არარეგისტრირებული კავშირი/კავშირის რისკი (ნაადრევი ქორწინება);
   ლ) მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ჩადენილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სამართალდარღვევა;

მ) მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგის ან კიბერბულინგის ჩადენა;

ნ) მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაცია ნებისმიერი ნიშნის მიხედვით;

ო) მოსწავლის დესტრუქციული ქცევა;

პ) მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღება, ფულის შეგროვება, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერ ფორმით გამორთმევა;

ჟ) მოსწავლის/მასწავლებლის/სკოლა-გიმნაზიის თანამშრომლის/სკოლა-გიმნაზიის ქონების ხელყოფა;

რ) სხვა გარემოება ან/და ქმედება, რომელმაც შეიძლება სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს საფრთხე შეუქმნას იქ მყოფ პირთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან/და ქონებას, სკოლა-გიმნაზიის გამართულ ფუნქციონირებას ან/და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, ასევე სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესის, მოსწავლის ქცევის კოდექსისა და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების ან/და ქმედებისას უფლებამოსილი პირის/სკოლა-გიმნაზიის დირექციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა ემსახურებოდეს ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

მუხლი 12. საგანგებო სიტუაციების დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები

1. საგანგებო სიტუაციების დროს უფლებამოსილი პირი ან/და სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენელი რეკავს განგაშის ზარს და საფრთხის შესახებ ატყობინებს შენობაში მყოფ ყველა პირს.
2. განგაშის ზარის დარეკვისთანავე სავალდებულოა სასწავლო პროცესის შეწყვეტა.
3. უფლებამოსილმა პირმა/სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენელმა უნდა უზრუნველყოს სიმშვიდის შენარჩუნება და პანიკის აღკვეთა.
4. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენელი უკავშირდება „112“-ს, აცნობებს საგანგებო სიტუაციის თავისებურებებს, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის მიზეზს, სავარაუდო მასშტაბებს, არსებულ ვითარებას.
5. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენელი უზრუნველყოფს სკოლა-გიმნაზიის შენობაში მყოფი პირების უსაფრთხო ადგილზე განთავსებას.
6. კლასის ხელმძღვანელი აღრიცხავს თავისი კლასის მოსწავლეებს, ადგენს და აღრიცხავს დაკარგული ადამიანების რაოდენობასა და ვინაობას და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას გადასცემს შესაბამის პირებს.
7. კლასის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას, რა დროსაც რეკომენდებულია კლასის ხელმძღვანელს საუბრისას ჰქონდეს მაქსიმალურად მშვიდი ტონი და კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია.
8. სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი ვალდებულია საგანგებო სიტუაციების შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს და უფლებამოსილ ორგანოებს.
9. საგანგებო სიტუაციის დროს, სიტუაციის გათვალისწინებით, რეკომენდებულია:

   ა) გაზის, ელექტროხელსაწყოების, წყალსადენი ქსელის გათიშვა;

   ბ) შენობაში არსებული დოკუმენტაციის, კომპიუტერული ტექნიკის, ლაბორატორიული მოწყობილობების, ნივთების და ინვენტარის შემლებისდაგვარად განთავსება შენობის უსაფრთხო ნაწილში.
10. უფლებამოსილი პირი ვალდებულია საგანგებო სიტუაციის ადგილზე უზრუნველყოს ფსიქოლოგის მივლენა;

.

11. საგანგებო სიტუაციის მართვას დაქვემდებარებისთანავე, სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგი უზრუნველყოფს მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და სკოლის დირექციის წარმომადგენლების მდგომარეობის პირველად შეფასებას
12. საგანგებო სიტუაციის მართვას დაქვემდებარებისთანავე, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს მოსწავლის, კანონიერი წარმომადგენლის, მასწავლებლის გადამისამართებას ფსიქოლოგთან.
13. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი მიმართავს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ.
14. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე გადაწყვეტილებას სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იღებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორის მიმართვის საფუძველზე.

მუხლი 13. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი გადამდები დაავადების შემთხვევის დროს

1. სკოლა-გიმნაზიაში გადამდები დაავადებების შემთხვევის გამოვლენისას სკოლა-გიმნაზიის ექიმი/უფლებამოსილი პირი დაუყოვნებლივ აცნობებენ სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადამდები დაავადებების შემთხვევის გამოვლენის შეტყობინების მიღების შემდგომ, სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი დაუყოვნებლივ უკავშირდება „112“-ს.
3. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენელი უზრუნველყოფს სკოლა-გიმნაზიაში სიმშვიდის შენარჩუნებას.
4. სკოლა-გიმნაზიის ექიმი/უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი/ სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენელი უზრუნველყოფს დაავადებაზე საეჭვო ყველა პირის (ბავშვი /თანამშრომელი) იზოლირებას სხვა პირებისგან.
5. სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი/სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენელი უზრუნველყოფს დაავადებულთან კონტაქტირებული პირების იდენტიფიცირებას და მათ იზოლირებას ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირებისა და სხვა პირებისაგან.
6. სკოლა-გიმნაზიის ექიმი/უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს გადამდებ დაავადებაზე საეჭვო პირებზე დაკვირვებას/მეთვალყურეობას სასწრაფო დახმარების ბრიგადის მოსვლამდე, ასევე საჭიროების შემთხვევაში, უსაფრთხოების შესაბამისი ზომების დაცვით პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას.
7. სკოლა-გიმნაზიის ექიმი/უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს სასწრაფო დახმარების ბრიგადის ინფორმირებას შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა ნიუანსის ხაზგასმით (მაგ, ნიშნები, ზუსტი დრო, ადგილი, გატარებული ღონისძიებები და ა.შ.) და, საჭიროების შემთხვევაში, ასრულებს მათ მითითებებს.
8. კლასის ხელმძღვანელი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია მომხდარის შესახებ ატყობინებს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს/დაავადებულის ოჯახს, რა დროსაც რეკომენდებულია შესაბამის პირს საუბრისას ჰქონდეს მაქსიმალურად მშვიდი ტონი და კანონიერ წარმომადგენელს/ოჯახის წევრს მიაწოდოს მოსწავლის/პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია.
9. სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას საგანმანათლებლო რესურს-ცენტრისათვის და სამინისტროსთვის.
10. სკოლა-გიმნაზიის ექიმი/სამედიცინო მომსახურების სერვისის მიმწოდებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური

სამსახურისთვის „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 25 მარტის N01-26/ნ ბრძანების მოთხოვნათა დაცვით.

11. სკოლა-გიმნაზიის ექიმი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია უზრუნველყოფს ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური სამსახურის რეკომენდაციების საფუძველზე.
12. ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების მიზნით გადაწყვეტილებას სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იღებს საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორის მიმართვის საფუძველზე.

მუხლი 14. სუიციდური აზრი

1. ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს ინფორმაცია მოსწავლის სუიციდური აზრის შესახებ, ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს უფლებამოსილ პირს/სკოლა-გიმნაზიის დირექციას, რომლებიც ვალდებული არიან ინფორმაცია მიაწოდონ სუიციდური აზრის მქონე მოსწავლის კლასის ხელმძღვანელს.
2. ინფორმაციის მიღებისთანავე, უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია/კლასის ხელმძღვანელი ესაუბრება და ამშვიდებს მოსწავლეს.
3. დაუშვებელია მოსწავლისათვის დაპირების მიცემა, რომ არ მოხდება მოსწავლის სუიციდური აზრის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება უფლებამოსილი პირისთვის/სკოლა-გიმნაზიის დირექციისათვის/ კანონიერი წარმომადგენლისთვის/მოძღვრისთვის/ფსიქოლოგისთვის/კლასის ხელმძღვანელისთვის.
4. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ან/და მოძღვრის/ფსიქოლოგის სკოლა-გიმნაზიაში გამოცხადებამდე დაუშვებელია მოსწავლის დატოვება უმეთვალყურეოდ.
5. მოსწავლის სუიციდური აზრის შესახებ ინფორმაცია არის კონფიდენციალური და მისი გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ უფლებამოსილი პირის/სკოლა-გიმნაზიის დირექციის/მოსწავლის კლასის ხელმძღვანელის/კანონიერი წარმომადგენლის/მოძღვრისა და ფსიქოლოგისთვის.
6. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია ვალდებულია უზრუნველყოს ფსიქოლოგის გამოძახება, რომლებიც ცალ-ცალკე ესაუბრებიან მოსწავლესა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებენ სიტუაციის პირველად მართვას.
7. უფლებამოსილი პირი, სკოლა-გიმნაზიის მიზნების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის ან/და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით გამოიძახოს მოძღვარი, რომელიც ცალკე ესაუბრება მოსწავლეს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს. მოძღვარი ფსიქოლოგთან და უფლებამოსილ პირთან ერთად ახორციელებს სიტუაციის მართვას.
8. უფლებამოსილი პირი ამისამართებს მოსწავლეს სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგთან.

მუხლი 15. სუიციდის მცდელობა

1. მოსწავლის მიერ სუიციდის მცდელობის შემსწრე ყველა პირი ვალდებულია შეეცადოს, შეაჩეროს სუიციდის მცდელობა.
2. მოსწავლის მიერ სუიციდის მცდელობის შემსწრე პირი/უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია დაუყოვნებლივ უკავშირდება „112“-ს, ხოლო შემდგომ ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ აცნობოს უფლებამოსილ პირს/სკოლა-გიმნაზიის დირექციას.
3. დაუშვებელია სუიციდის მცდელობის შემსწრე პირის მიერ სუიციდის მცდელობის მქონე მოსწავლის დატოვება უმეთვალყურეოდ უფლებამოსილი პირის/სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენლის მოსვლამდე.
4. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის ექიმი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე და უზრუნველყოს მოსწავლისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

.

5. სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი მოსწავლის მიერ სუიციდის მცდელობის შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია, აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს.
6. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია უზრუნველყოფს თვითმხილველი მოსწავლეების გარიდებას, მათზე მეთვალყურეობას, დამშვიდებასა და სხვა მოსწავლეებში ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას.
7. დაუშვებელია სუიციდის მცდელობის მქონე მოსწავლის უმეთვალყურეოდ დატოვება კანონიერი წარმომადგენლის ან/და მოძღვრის და ფსიქოლოგის მოსვლამდე.
8. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია მომხდარის შესახებ ინფორმაციას აწვდის კლასის ხელმძღვანელს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას სუიციდის მცდელობის მქონე მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისთვის, რა დროსაც რეკომენდებულია კლასის ხელმძღვანელს, საუბრისას ჰქონდეს მაქსიმალურად მშვიდი ტონი და კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია.
9. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია ვალდებულია უზრუნველყოს ფსიქოლოგის გამოძახება, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება სუიციდის მცდელობის მქონე მოსწავლეს, კანონიერ წარმომადგენელს და თვითმხილველ მოსწავლეებს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას.
10. უფლებამოსილი პირი, სკოლა-გიმნაზიის მიზნების გათვალისწინებით, უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოსწავლის ან/და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელის წერილობითი თანხმობით გამოიძახოს მოძღვარი, რომელიც ცალკე ესაუბრება მოსწავლეს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს. მოძღვარი ფსიქოლოგთან და უფლებამოსილ პირთან ერთად ახორციელებს სიტუაციის მართვას.
11. უფლებამოსილი პირი ამისამართებს მოსწავლეს სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგთან.

მუხლი 16. სიუციდი

1. სკოლა-გიმნაზიაში სუიციდის შემთხვევაში, სუიციდის ფაქტის შემსწრე პირი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს „112“-ს, ხოლო შემდგომ უფლებამოსილ პირს/სკოლა-გიმნაზიის დირექციას.
2. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია უზრუნველყოფს თვითმხილვევლი მოსწავლეების გარიდებას, მათზე მეთვალყურეობას, დამშვიდებასა და სხვა მოსწავლეებში ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას.
3. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია უზრუნველყოფს შემთხვევის ადგილის დაცვას, გადაკეტვას.
4. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია სუიციდის შესახებ ატყობინებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს/კანონიერ წარმომადგენელს მხოლოდ პოლიციის მიერ გარდაცვლილის იდენტიფიცირების შემდეგ.
5. სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი სუიციდის ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია, აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს.
6. სუიციდის თვითმხილველი მოსწავლეების კლასის ხელმძღვანელი სუიციდის ფაქტის შესახებ ინფორმაციას ატყობინებს სუიციდის თვითმხილველი მოსწავლეების კანონიერ წარმომადგენლებს.
7. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია ვალდებულია უზრუნველყოს ფსიქოლოგის გამოძახება, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება გარდაცვლილის ოჯახის წევრებს, სუიციდის თვითმხილველ მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს, მასწავლებლებს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას.
8. უფლებამოსილი პირი, სკოლა-გიმნაზიის მიზნების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის ან/და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი

თანხმობით გამოიძახოს მოძღვარი, რომელიც ცალკე ესაუბრება მოსწავლეს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.
9. მოძღვარი ფსიქოლოგთან და უფლებამოსილ პირთან ერთად ახორციელებს სიტუაციის მართვას.
10. დაუშვებელია სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე დაღუპული მოსწავლის მუდმივი გასახსენებელი ადგილის მოწყობა და რაიმე სახის სამგლოვიარო რიტუალის ჩატარება (პანაშვიდი, გასვენება და ა.შ.).

მუხლი 17. თვითდაზიანება

1. ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს ინფორმაცია მოსწავლის თვითდაზიანების შესახებ, ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს უფლებამოსილ პირს/სკოლა-გიმნაზიის დირექციას, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია, ინფორმაცია მიაწოდონ მოსწავლის კლასის ხელმძღვანელს.
2. ინფორმაციის მიღებისთანავე, უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია/კლასის ხელმძღვანელი ესაუბრება მოსწავლეს და იკვლევს თვითდაზიანების მიზეზს.
3. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია/კლასის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს მოსწავლის თვითდაზიანების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას.
4. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია ვალდებულია, თვითდაზიანების ხარისხის გათვალისწინებით, უზრუნველყოს ფსიქოლოგის გამოძახება, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება თვითდაზიანების განმახორციელებელ მოსწავლესა და კანონიერ წარმომადგენელს, მასწავლებლებს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას.
5. უფლებამოსილი პირი, სკოლა-გიმნაზიის მიზნების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის ან/და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელის წერილობითი თანხმობით გამოიძახოს მოძღვარი, რომელიც ცალკე ესაუბრება მოსწავლეს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.
6. მოძღვარი ფსიქოლოგთან და უფლებამოსილ პირთან ერთად ახორციელებს სიტუაციის მართვას.
7. უფლებამოსილი პირი ამისამართებს მოსწავლეს სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგთან.
8. მოსწავლის თვითდაზიანების შესახებ ინფორმაცია არის კონფიდენციალური და მისი გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ მოძღვრისთვის/უფლებამოსილი პირის/სკოლის დირექციის/მოსწავლის კლასის ხელმძღვანელის/კანონიერი წარმომადგენლისა და ფსიქოლოგისთვის.

მუხლი 18. ფეთქებადი ნივთიერებების სკოლა-გიმნაზიაში აღმოჩენა

1. ფეთქებადი ნივთიერებების სკოლა-გიმნაზიაში აღმოჩენისას უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია ვალდებულია, უზრუნველყოს:
   ა) მოსწავლეების, მასწავლებლების და სკოლა-გიმნაზიის შენობაში მყოფი სხვა პირების დაწესებულებიდან გამოყვანა და მათი უსაფრთხო ადგილზე განთავსება;
   ბ) „112“-თან დაკავშირება და ინფორმაციის მიწოდება, ასევე საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინფორმირება.
2. თითოეული კლასის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს:
   ა) იმ პირთა აღწერას, რომლებიც ევაკუირებულ იქნენ დაწესებულების შენობიდან;
   ბ) მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას, რა დროსაც რეკომენდებულია კლასის ხელმძღვანელს საუბრისას ჰქონდეს მაქსიმალურად მშვიდი ტონი და კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია.
3. უფლებამოსილი პირი, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს ევაკუირებული მოსწავლის /მოსწავლეების მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენებით.
4. უფლებამოსილი, პირი სკოლა-გიმნაზიის მიზნების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის ან/და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით გამოიძახოს მოძღვარი, რომელიც ცალკე ესაუბრება მოსწავლეს და მოსწავლის კანონიერ

.

წარმომადგენელს. მოძღვარი ფსიქოლოგთან და უფლებამოსილ პირთან ერთად ახორციელებს სიტუაციის მართვას.

5. უფლებამოსილი პირი ამისამართებს მოსწავლეს სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგთან.

მუხლი 19. სკოლა-გიმნაზიაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შეტყობინება

1. ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ ანონიმური ზარების მიმღებმა პირმა აუცილებელია სატელეფონო საუბრის დროს შეინარჩუნოს მშვიდი ტონი და გაახანგრძლივოს საუბრის დრო, დროის მოგებისა და ინფორმაციის მოპოვების მიზნით დამატებითი კითხვების დასმით. დროის მოგება ასევე შესაძლებელია შემდეგი გზებით: ზარის განმახორციელებელი პირის მონაცემების/გამონათქვამების ნაწილობრივ არასწორად/არასრულყოფილად გამეორებით (სიფრთხილით, გადაჭარბების გარეშე); ცუდი, უხარისხო კავშირის გათამაშებით; რაც შეიძლება ზუსტი მონაცემების მოთხოვნით (აღნიშნული წერილობით უნდა იქნას ასახული).
2. იმ შემთხვევაში, თუ ანონიმური ზარის მიმღებს აქვს შესაძლებლობა, რეკომენდებულია ტელეფონის ხმამაღალ რეჟიმზე ჩართვა და საუბრის მიმდინარეობისას „112“-თან დაკავშირება.
3. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია ვალდებულია ანონიმური ზარის დასრულებისთანავე უზრუნველყოს:

   ა) „112“-თან დაკავშირება და ინფორმაციის მიწოდება, ასევე საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინფორმირება;

   ბ) მოსწავლეების, მასწავლებლების და სკოლა-გიმნაზიის შენობაში მყოფი სხვა პირების დაწესებულებიდან გამოყვანა და მათი უსაფრთხო ადგილზე განთავსება.
4. თითოეული კლასის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს:

   ა) იმ პირთა აღწერას, რომლებიც ევაკუირებულ იქნენ დაწესებულების შენობიდან;

   ბ) მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას, რა დროსაც რეკომენდებულია კლასის ხელმძღვანელს საუბრისას ჰქონდეს მაქსიმალურად მშვიდი ტონი და კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია.
5. უფლებამოსილი პირი, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს ევაკუირებული მოსწავლის/ მოსწავლეების მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენებით
6. უფლებამოსილი პირი ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების საფუძველზე ამისამართებს მოსწავლეს სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგთან. უფლებამოსილი პირი, სკოლა-გიმნაზიის მიზნების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის ან/და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელის წერილობითი თანხმობით გამოიძახოს მოძღვარი, რომელიც ცალკე ესაუბრება მოსწავლეს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს. მოძღვარი ფსიქოლოგთან და უფლებამოსილ პირთან ერთად ახორციელებს სიტუაციის მართვას.

მუხლი 20. მოსწავლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის ქონა, ასევე იმ საგნის ქონა, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენით მოპოვებული ნივთისა და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნისა და დოკუმენტის ქონა, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად

1. ნებისმიერი პირი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს უფლებამოსილ პირს/სკოლა-გიმნაზიის დირექციას მოსწავლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის ქონის შესახებ, ასევე იმ საგნის ქონის შესახებ, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/ სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/ სამართალდარღვევის ჩადენით მოპოვებული ნივთისა და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნისა და

დოკუმენტის ქონის შესახებ, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/ სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად.

2. სკოლა-გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით დასაშვებია უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება, რომლის მიზანია უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/ სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის აღმოჩენა, იმ საგნის აღმოჩენა, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომით/სამართალდარღვევით მოპოვებული ნივთის და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნის და დოკუმენტის აღმოჩენა, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/ სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად.
3. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გარემოებები მიუთითებს მოსწავლის მიერ სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესის შესაძლო დარღვევაზე ან/და შესაძლო სამართალდარღვევაზე და არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების შედეგად გამოვლინდება სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა ან/და შესაძლო სამართალდარღვევა.
4. დაუშვებელია მოსწავლის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნივთის გადამალვა ან/და რაიმე ფორმით განადგურება. უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია, მიიღოს შესაბამისი ზომები მოსწავლის აღნიშნული ქმედების თავიდან ასაცილებლად.
5. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების უფლებამოსილება აქვს იმავე სქესის უფლებამოსილ პირს. ამ პუნქტიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სკოლა-გიმნაზიაში არ არის მოსწავლის შესაბამისი სქესის უფლებამოსილი პირი.
6. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება ხორციელდება სკოლა-გიმნაზის თანამშრომლის ინიციატივით.
7. მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება ხორციელდება მეტალოდეტექტორის გამოყენებით, ფიზიკური შეხების გარეშე, ასევე მოსწავლის ნივთის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება ხორციელდება მეტალოდეტექტორის გამოყენებით.
8. უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას წინ უნდა უსწრებდეს უფლებამოსილი პირის მიერ მოსწავლის გაფრთხილება უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების შესახებ და მოწოდება, რომ ნებაყოფლობით, ყოველგვარი შემოწმების გარეშე, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნივთები გადასცეს პირს, რომელმაც უნდა ჩაატაროს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება.
9. თუ მოსწავლის მიერ წარმოდგენილია ან უფლებამოსილი პირის მიერ აღმოჩენილია იმგვარი სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ნივთები, რომლის მოსწავლის მიერ ფლობაზე რეაგირებაც საქართველოს კანონმდებლობით სამართალდამცავი ორგანოს კომპეტენციაა, უფლებამოსილი პირი დაუყოვნებლივ აცნობებს სამართალდამცავ ორგანოს.
10. აღმოჩენილი ნივთები უფლებამოსილი პირის მიერ გადაეცემა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს ან სამართალდამცავ ორგანოს, ნივთის/საგნის ხასიათის გათვალისწინებით.
11. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერებისას უფლებამოსილი პირი ვალდებულია:
    ა) იმოქმედოს მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და მოსწავლის ღირსების სრული დაცვით;
    ბ) იყოს თავაზიანი, მომთმენი, იმოქმედოს მშვიდად და ისაუბროს მოსწავლისათვის გასაგებ ენაზე;
    გ) მოსწავლეს არ შეუზღუდოს იმ ნივთებით სარგებლობა, რომელიც არ აფერხებს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების მიმდინარეობას, ასევე, არ ჩამოართვას ის ნივთები, რომელიც არ წარმოადგენდა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების მიზანს;
    დ) უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება არ ჩაატაროს ჯგუფურად.
12. უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას დამატებით უნდა ესწრებოდეს სკოლა-გიმნაზიის თანამშრომელი, რომელსაც განსაზღვრავს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი.
13. უფლებამოსილი პირი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის მიმართ უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების შესახებ.

.

14. მოსწავლისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში, სკოლა-გიმნაზიის დირექცია ვალდებულია, დაიწყოს მოსწავლის მიმართ დისციპლინური წარმოება.
15. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე უარს აცხადებს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე და ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნივთის აღმოჩენა სხვაგვარად შეუძლებელია ან მოსწავლე უარს აცხადებს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელებისას აღმოჩენილი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნივთის უფლებამოსილი პირისათვის გადაცემაზე, უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაიწყოს მოსწავლის განცალკევების პროცედურა.
16. უფლებამოსილი პირი, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენებით.
17. უფლებამოსილი პირი ამ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების საფუძველზე ამისამართებს მოსწავლეს სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგთან.
18. უფლებამოსილი პირი, სკოლა-გიმნაზიის მიზნების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის ან/და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით გამოიძახოს მოძღვარი, რომელიც ცალკე ესაუბრება მოსწავლეს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს. მოძღვარი ფსიქოლოგთან და უფლებამოსილ პირთან ერთად ახორციელებს სიტუაციის მართვას.
19. უფლებამოსილი პირი ადგენს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების შესახებ ოქმს.

მუხლი 21. მოსწავლის/მასწავლებლის/სკოლა-გიმნაზიის სხვა თანამშრომლის მიერ ალკოჰოლის ან/და ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შეტანა, რეალიზაცია, მოხმარება სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე ან/და მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნა

1. ნებისმიერი პირი, რომლისთვისაც ცნობილია მოსწავლის/მასწავლებლის/სკოლა-გიმნაზიის სხვა თანამშრომლის მიერ ალკოჰოლის ან/და ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შეტანის, რეალიზაციის, მოხმარების გიმნაზიის ტერიტორიაზე ან/და მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნის ფაქტი, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს უფლებამოსილ პირს/სკოლა-გიმნაზიის დირექციას.
2. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მოსწავლეს აქვს ალკოჰოლი ან/და ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი, პრეკურსორი, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება, ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი ან ძლიერმოქმედი ნივთიერება უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია, განახორციელოს მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება ამ წესის მე-20 მუხლით დადგენილი წესით.
3. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მასწავლებელს/სკოლა-გიმნაზიის სხვა თანამშრომელს აქვს ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი, პრეკურსორი, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება, ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი ან ძლიერმოქმედი ნივთიერება, უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს „112“-ს.
4. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია ვალდებულია მოსწავლისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს:
   ა) „112“-ს;
   ბ) მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;

გ) საგანმანათლებლო რესურსცენტრს, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს.

5. უფლებამოსილი პირი სკოლა-გიმნაზიის მიზნების გათვალისწინებით უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის ან/და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით გამოიძახოს მოძღვარი, რომელიც ცალკე ესაუბრება მოსწავლეს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს. მოძღვარი ფსიქოლოგთან და უფლებამოსილ პირთან ერთად ახორციელებს სიტუაციის მართვას.
6. უფლებამოსილი პირი ამისამართებს მოსწავლეს სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგთან.

მუხლი 22. მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობა ან/და დაგვიანება საპატიო მიზეზის გარეშე, იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულის შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი არ არის ინფორმირებული

1. საპატიო მიზეზით მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის ან/და დაგვიანების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია შეატყობინოს მოსწავლის კლასის ხელმძღვანელს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს შესაბამისი საგნის მასწავლებლის და სკოლა-გიმნაზიის დირექციის/უფლებამოსილი პირის ინფორმირებას.
2. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის ან/და დაგვიანების შესახებ შესაბამისი საგნის მასწავლებელი არ არის ინფორმირებული, შესაბამისი საგნის მასწავლებელი მოსწავლის დაგვიანების/საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს კლასის ხელმძღვანელს/უფლებამოსილ პირს. კლასის ხელმძღვანელი/უფლებამოსილი პირი ვალდებულია მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შეატყობინოს აღნიშნული ფაქტის შესახებ და დაადგინოს მისი მიზეზი.
3. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი არ არის ინფორმირებული მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის ან/და დაგვიანების შესახებ, კლასის ხელმძღვნელი/ უფლებამოსილი პირი ვალდებულია, აღნიშნული აცნობოს სკოლა-გიმნაზიის დირექციას.
4. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე არ გამოცხადდა საგაკვეთილო პროცესზე და აღნიშნულის შესახებ არ არის ინფორმირებული მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი, ამასთან ვერ ხერხდება მოსწავლის ადგილსამყოფლის დადგენა ან/და მოსწავლესთან დაკავშირება, უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს „112“-ს.
5. თუ საკითხის შესწავლის შედეგად გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოსწავლის სკოლა-გიმნაზიაში გამოუცხადებლობა/დაგვიანება გახდა მიზეზი არასრულწლოვნის სწავლის უფლების შეზღუდვისა, უფლებამოსილი პირი ფაქტის შესახებ ავსებს ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის #437 დადგენილების შესაბამისად.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი ვალდებულია უზრუნველყოს ფსიქოლოგის გამოძახება, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებენ სიტუაციის პირველად მართვას.
7. უფლებამოსილი პირი სკოლა-გიმნაზიის მიზნების გათვალისწინებით უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის ან/და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით გამოიძახოს მოძღვარი, რომელიც ცალკე ესაუბრება მოსწავლეს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს. მოძღვარი ფსიქოლოგთან და უფლებამოსილ პირთან ერთად ახორციელებს სიტუაციის მართვას.
8. უფლებამოსილი პირი ამისამართებს მოსწავლეს ფსიქოლოგთან.

მუხლი 23. მოსწავლის მიერ საგაკვეთილო/სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კლასის ან/და სკოლა-გიმნაზიის დატოვება შესაბამისი საფუძვლისა და ნებართვის გარეშე

.

1. მოსწავლის მიერ საგაკვეთილო/სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კლასის ან/და სკოლა-გიმნაზიის დატოვება დაუშვებელია შესაბამისი საფუძვლისა და ნებართვის გარეშე.
2. მოსწავლის მიერ საგაკვეთილო/სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას შესაბამისი საფუძვლისა და ნებართვის გარეშე კლასის ან/და სკოლა-გიმნაზიის დატოვების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი საგნის მასწავლებელი/ნებისმიერი პირი დაუყოვნებლივ აწვდის უფლებამოსილ პირს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას კლასის ხელმძღვანელისთვის.
3. მოსწავლის მიერ საგაკვეთილო/სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას შესაბამისი საფუძვლისა და ნებართვის გარეშე კლასის ან/და სკოლა-გიმნაზიის დატოვების შესახებ კლასის ხელმძღვანელი/ უფლებამოსილი პირი დაუყოვნებლივ აცნობებს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.
4. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის/უფლებამოსილი პირის მხრიდან ვერ ხორციელდება მოსწავლის ადგილსამყოფელის დადგენა, უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია დაუყოვნებლივ ატყობინებს „112“-ს.
5. მოსწავლის ადგილსამყოფელის იდენტიფიცირებისა და მისი სკოლა-გიმნაზიაში გამოცხადების შემდგომ, უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენელი უზრუნველყოფს მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელთან გასაუბრებასა და სიტუაციის მართვას.
6. უფლებამოსილი პირი, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენებით.
7. უფლებამოსილი პირი ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების საფუძველზე ამისამართებს მოსწავლეს სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგთან.
8. უფლებამოსილი პირი, სკოლა-გიმნაზიის მიზნების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის ან/და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით გამოიძახოს მოძღვარი, რომელიც ცალკე ესაუბრება მოსწავლეს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს. მოძღვარი ფსიქოლოგთან და უფლებამოსილ პირთან ერთად ახორციელებს სიტუაციის მართვას.

მუხლი 24. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობა

1. ნებისმიერი პირი ვალდებულია, მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობის ჩადენის ფაქტის ცოდნის ან ასეთის ეჭვის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს უფლებამოსილ პირს/სკოლა-გიმნაზიის დირექციას.
2. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ძალადობის შესაძლო შემთხვევებია:
   ა) მოსწავლის ძალადობა მოსწავლის მიმართ;
   ბ) მოსწავლის მიმართ ძალადობა უცხო პირის მხრიდან;
   გ) მოსწავლის მიმართ ძალადობა მასწავლებლის მხრიდან;
   დ) მოსწავლის მიმართ ძალადობა სკოლა-გიმნაზიის დირექციის თანამშრომლის მხრიდან;
   ე) მოსწავლის მიმართ ძალადობა უფლებამოსილი პირის მხრიდან;
   ვ) ოჯახში ძალადობა.
3. მოსწავლის მიმართ მოსწავლის ან/და უცხო პირის მიერ ძალადობის შემთხვევაში:
   ა) უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენელი ვალდებულია, დაუკავშირდეს „112“-ს, საგანმანათლებლო რესურსცენტრსა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;
   ბ) უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს მოსწავლის ან/და მოსწავლეებისა და უცხო პირის განცალკევებას ამ წესის 32-ე მუხლით დადგენილი წესით;
   გ) უფლებამოსილი პირი, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენებით;
   დ) სკოლის დირექცია ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების საფუძველზე, ამისამართებს მოსწავლეს სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგთან.

4. მოსწავლის მიმართ მასწავლებლის ან/და სკოლა-გიმნაზიის დირექციის თანამშრომლის მხრიდან ძალადობის შემთხვევაში:

ა) უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენელი უკავშირდება „112“-ს;

ბ) უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენელი ინფორმაციას დაუყოვნებლივ ატყობინებს საგანმანათლებლო რესურსცენტრსა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;

გ) რესურსცენტრი ინფორმაციას დაუყოვნებლივ ატყობინებს სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს;

დ) უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენებით;

ე) უფლებამოსილი პირი ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების საფუძველზე, ამისამართებს მოსწავლეს სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგთან.

5. მოსწავლის მიმართ უფლებამოსილი პირის ძალადობის შემთხვევაში:

ა) სკოლის დირექციის წარმომადგენელი დაუყოვნებლივ უკავშირდება „112“-ს, რესურსცენტრსა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;

ბ) რესურსცენტრი ინფორმაციას დაუყოვნებლივ ატყობინებს სამინისტროს შესაბამის სტრუქუტურულ ქვედანაყოფს;

გ) სკოლის დირექცია უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენებით;

დ) სკოლის დირექცია ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების საფუძველზე, ამისამართებს მოსწავლეს სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგთან.

6. ოჯახში ძალადობის შემთხვევაში:

ა) უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენელი დაუყოვნებლივ უკავშირდება „112“-ს;

ბ) უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია ვალდებულია, უზრუნველყოს ფსიქოლოგის გამოძახება, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას;

7. უფლებამოსილი პირი, სკოლა-გიმნაზიის მიზნების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის ან/და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელის წერილობითი თანხმობით გამოიძახოს მოძღვარი, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლეს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს. მოძღვარი ფსიქოლოგთან და უფლებამოსილ პირთან ერთად ახორციელებს სიტუაციის მართვას.

8. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ამ მუხლით გათვალისწინებული ძალადობის განხორციელების შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი ფაქტის შესახებ ავსებს ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილების შესაბამისად.

მუხლი 25. ოჯახის შექმნის მიზნით 18 წლამდე მოსწავლის არარეგისტრირებული კავშირი/კავშირის რისკი (ნაადრევი ქორწინება)

1. ნებისმიერი პირი ვალდებულია ოჯახის შექმნის მიზნით 18 წლამდე მოსწავლის არარეგისტრირებული კავშირის/კავშირის რისკის (ნაადრევი ქორწინება) ან ასეთის ეჭვის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს უფლებამოსილ პირს/სკოლა-გიმნაზიის დირექციას.
2. ოჯახის შექმნის მიზნით 18 წლამდე მოსწავლის არარეგისტრირებული კავშირის/კავშირის რისკის (ნაადრევი ქორწინება) ან ასეთის ეჭვის შემთხვევაში:

ა) უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენელი ვალდებულია, დაუკავშირდეს „112“-ს, რესურსცენტრსა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;

ბ) უფლებამოსილი პირი ფაქტის შესახებ ავსებს ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილების შესაბამისად.

.

3. უფლებამოსილი პირი, სკოლა-გიმნაზიის მიზნების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის ან/და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით გამოიძახოს მოძღვარი, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლეს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს. მოძღვარი ფსიქოლოგთან და უფლებამოსილ პირთან ერთად ახორციელებს სიტუაციის მართვას.

მუხლი 26. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ჩადენილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სამართალდარღვევა

1. ნებისმიერი პირი ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სამართალდარღვევის ან/და სავარაუდო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის ცოდნის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს უფლებამოსილ პირს/სკოლა-გიმნაზიის დირექციას.
2. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია დაუყოვნებლივ უკავშირდება „112“-ს.
3. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია, შესაძლებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს სამართალდარღვევის აღკვეთასა და სამართალდარღვევის ადგილის შემოსაზღვრას.
4. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია უზრუნველყოფს სამართალდარღვევის თვითმხილველი მოსწავლეების გარიდებას, მათზე მეთვალყურეობას და სხვა მოსწავლეებში ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში).
5. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია უზრუნველყოფს დამრღვევი/დაზარალებული/ თვითმხილველი მოსწავლეების კლასის ხელმძღვანელისთვის ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს დამრღვევი/დაზარალებული/ თვითმხილველი მოსწავლეების კანონიერ წარმომადგენლებს.
6. უფლებამოსილი პირი ამისამართებს მოსწავლეს ფსიქოლოგთან.
7. უფლებამოსილი, პირი სკოლა-გიმნაზიის მიზნების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის ან/და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელის წერილობითი თანხმობით გამოიძახოს მოძღვარი, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლეს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს. მოძღვარი ფსიქოლოგთან და უფლებამოსილ პირთან ერთად ახორციელებს სიტუაციის მართვას.
8. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის.
9. სკოლა-გიმნაზიის დირექცია ვალდებულია უზრუნველყოს ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვა.

მუხლი 27. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგის ან კიბერბულინგის ჩადენა

1. ნებისმიერი პირი ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგის ან კიბერბულინგის ჩადენის ფაქტის ცოდნის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს უფლებამოსილ პირს/სკოლა-გიმნაზიის დირექციას.
2. თუ მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგი ან კიბერბულინგი შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია უკავშირდება „112“-ს.
3. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია/კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია დაადგინოს ბულინგის/კიბერბულინგის მიზეზები, გაესაუბროს ყველა ჩართულ მხარეს, დაადგინოს წინააღმდეგობები მონაყოლებს შორის და შეიმუშაოს პრობლემის მოგვარების გზები.
4. დაუშვებელია ბულინგის/კიბერბულინგის ფაქტის იგნორირება. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია/კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს კონფლიქტის მოგვარების დროს სიტუაციის მიუკერძოებლად შეფასება და უზრუნველყოს მხარეებს შორის შემდგომი კონფრონტაციის არიდება.

5. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია/კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია დააკვირდეს როგორც ბულინგის/კიბერბულინგის გამტარებელს, ასევე მოსწავლეს, რომლის მიმართაც განხორციელდა ბულინგი/კიბერბულინგი.
6. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია/კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია ბულინგის/კიბერბულინგის გამტარებელი მოსწავლისა და იმ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, რომლის მიმართაც განხორციელდა ბულინგი/კიბერბულინგი.
7. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული ბულინგის ხარისხის გათვალისწინებით, უზრუნველყოს ფსიქოლოგის გამოძახება, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას.
8. უფლებამოსილი პირი, სკოლა-გიმნაზიის მიზნების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის ან/და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით გამოიძახოს მოძღვარი, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლეს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.
9. მოძღვარი ფსიქოლოგთან და უფლებამოსილ პირთან ერთად ახორციელებს სიტუაციის მართვას.
10. უფლებამოსილი პირი ამისამართებს მოსწავლეს ფსიქოლოგთან.

მუხლი 28. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაცია ნებისმიერი ნიშნის მიხედვით

1. ნებისმიერი პირი ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციის განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს უფლებამოსილ პირს/სკოლა-გიმნაზიის დირექციას.
2. თუ მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაცია შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია დაუყოვნებლივ უკავშირდება „112“-ს.
3. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია/კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია, დაადგინოს მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის მიზეზები, გაესაუბროს ყველა ჩართულ მხარეს, დაადგინოს წინააღმდეგობები მონაყოლებს შორის და შეიმუშაოს პრობლემის მოგვარების გზები.
4. დაუშვებელია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტის იგნორირება. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია/კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია, უზრუნველყოს სიტუაციის მიუკერძოებლად შეფასება და უზრუნველყოს მხარეებს შორის შემდგომი კონფრონტაციის არიდება.
5. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია/კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია, დააკვირდეს როგორც დისკრიმინაციის განმახორციელებელ მოსწავლეს, ასევე მოსწავლეს, რომლის მიმართაც განხორციელდა დისკრიმინაცია.
6. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია/კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიაწოდონ ინფორმაცია დისკრიმინაციის განმახორციელებელი მოსწავლისა და იმ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, რომლის მიმართაც განხორციელდა დისკრიმინაცია.
7. უფლებამოსილი პირი, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენებით.
8. უფლებამოსილი პირი ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების საფუძველზე ამისამართებს მოსწავლეს სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგთან.
9. უფლებამოსილი პირი, სკოლა-გიმნაზიის მიზნების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის ან/და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით გამოიძახოს მოძღვარი, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლეს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს. მოძღვარი ფსიქოლოგთან და უფლებამოსილ პირთან ერთად ახორციელებს სიტუაციის მართვას.

.

მუხლი 29. მოსწავლის დესტრუქციული ქცევა

1. მოსწავლის დესტრუქციული ქცევაა გაკვეთილის ჩაშლის მცდელობა, ასევე სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენლის, მასწავლებლისა და სკოლა-გიმნაზიაში დასაქმებული სხვა პირების კანონიერი მოთხოვნისადმი მოსწავლის დაუმორჩილებლობა.
2. თუ მოსწავლე ამა თუ იმ ფორმით ხელს უშლის საგაკვეთილო პროცესს, არ ითვალისწინებს მასწავლებლის შენიშვნებს, მასწავლებელი ვალდებულია, მაქსიმალურად შეეცადოს მის სასწავლო პროცესში ჩართვას. თუ ვერ მოხერხდა მოსწავლის ქცევის დარეგულირება, მასწავლებელი იძახებს უფლებამოსილ პირს/სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენელს/მორიგე მასწავლებელს/კლასის ხელმძღვანელს და მოსწავლეს მათი თანხლებით ატოვებინებს საგაკვეთილო პროცესს.
3. დაუშვებელია საგაკვეთილო პროცესიდან მოსწავლეების ჯგუფურად გაშვება.
4. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია ფაქტის შესახებ ინფორმაციას აწვდის მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.
5. გაკვეთილის დასრულებამდე/მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მოსვლამდე მოსწავლე უნდა იმყოფებოდეს უფლებამოსილი პირის/სკოლა-გიმნაზიის დირექციის მეთვალყურეობის ქვეშ.
6. სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენლის, მასწავლებლისა და გიმნაზიაში დასაქმებული სხვა პირების კანონიერი მოთხოვნისადმი მოსწავლის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.
7. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სკოლა-გიმნაზიაში გამოცხადებამდე უფლებამოსილი პირი/ სკოლა-გიმნაზიის დირექცია ვალდებულია მოსწავლე არ დატოვოს უმეთვალყურეოდ.
8. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე სკოლა-გიმნაზიის შენობას დატოვებს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სკოლა-გიმნაზიაში გამოცხადებამდე, კლასის ხელმძღვანელი/უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია მოსწავლის ადგილსამყოფელის დადგენა ან/და მოსწავლესთან დაკავშირება, უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია დაუყოვნებლივ ატყობინებს „112“-ს.
9. უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენებით.
10. უფლებამოსილი პირი ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების საფუძველზე ამისამართებს მოსწავლეს სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგთან.
11. უფლებამოსილი პირი, სკოლა-გიმნაზიის მიზნების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის ან/და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელის წერილობითი თანხმობით გამოიძახოს მოძღვარი, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლეს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს. მოძღვარი ფსიქოლოგთან და უფლებამოსილ პირთან ერთად ახორციელებს სიტუაციის მართვას.

მუხლი 30. მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღება, ფულის შეგროვება, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერი ფორმით გამორთმევა

1. მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღების, ფულის შეგროვების, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერ ფორმით გამორთმევის შესახებ ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, ნებისმიერი პირი ვალდებულია, ინფორმაცია მიაწოდოს უფლებამოსილ პირს/სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენელს.
2. იმ შემთხვევაში, თუ ფაქტი შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენელი დაუყოვნებლივ უკავშირდება „112“-ს.
3. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია/კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია, დაადგინოს მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღების, ფულის შეგროვების,

ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერი ფორმით გამორთმევის შესახებ ფაქტთან დაკავშირებული ყველა გარემოება, მიზეზები, გაესაუბროს ყველა ჩართულ მხარეს, დაადგინოს წინააღმდეგობები მონაყოლებს შორის და შეიმუშაოს პრობლემის მოგვარების გზები.

4. დაუშვებელია მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღების, ფულის შეგროვების, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერ ფორმით გამორთმევის ფაქტის იგნორირება. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია/კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია სიტუაცია შეაფასოს მიუკერძოებლად და უზრუნველყოს მხარეებს შორის შემდგომი კონფრონტაციის არიდება.
5. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია/კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია, დააკვირდეს მხარეებს სიტუაციის მოგვარების შემდეგაც. თუ მოსწავლე შემთხვევის შემდეგ სკოლა-გიმნაზიაში არ დადის, სკოლა-გიმნაზიის დირექცია/კლასის ხელმძღვანელი ფსიქოლოგთან/ მოძღვართან ერთად ადგენს მიზეზს და შეიმუშავებს გეგმას მისი სასწავლო პროცესში დაბრუნებისათვის.
6. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია/კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია სიტუაციაში მონაწილე მოსწავლეების კანონიერ წარმომადგენლებს.
7. უფლებამოსილი პირი, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენებით.
8. უფლებამოსილი პირი ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების საფუძველზე ამისამართებს მოსწავლეს სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგთან.
9. უფლებამოსილი პირი, სკოლა-გიმნაზიის მიზნების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის ან/და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით გამოიძახოს მოძღვარი, რომელიც ცალკე ესაუბრება მოსწავლეს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს. მოძღვარი ფსიქოლოგთან და უფლებამოსილ პირთან ერთად ახორციელებს სიტუაციის მართვას.

მუხლი 31. მოსწავლის/მასწავლებლის/სკოლა-გიმნაზიის თანამშრომლის/სკოლა-გიმნაზიის ქონების ხელყოფა

1. ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს ინფორმაცია მოსწავლის/მასწავლებლის/სკოლა-გიმნაზიის თანამშრომლის/სკოლა-გიმნაზიის ქონების ხელყოფის შესახებ, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს უფლებამოსილ პირს/სკოლა-გიმნაზიის დირექციას.
2. იმ შემთხვევაში, თუ ფაქტი შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია დაუყოვნებლივ უკავშირდება „112“-ს.
3. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია/კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია, ფოტოზე ასახოს მოსწავლის/მასწავლებლის/სკოლა-გიმნაზიის თანამშრომლის/სკოლა-გიმნაზიის ქონების ხელყოფის შედეგი.
4. მოსწავლის/მასწავლებლის/სკოლა-გიმნაზიის თანამშრომლის/სკოლა-გიმნაზიის ქონების ხელმყოფი მოსწავლის დადგენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, რომელიც ვალდებულია, შესაბამის პირს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი.
5. უფლებამოსილი პირი, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენებით.
6. უფლებამოსილი პირი ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების საფუძველზე ამისამართებს მოსწავლეს სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგთან.
7. უფლებამოსილი პირი, სკოლა-გიმნაზიის მიზნების გათვალისწინებით, უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოსწავლის ან/და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით გამოიძახოს მოძღვარი, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლეს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს. მოძღვარი ფსიქოლოგთან და უფლებამოსილ პირთან ერთად ახორციელებს სიტუაციის მართვას.

.

მუხლი 32. მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევება

1. მოსწავლის/მოსწავლეების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით დასაშვებია, განხორციელდეს მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევება ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემოში უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლის/მოსწავლეების ქმედებით საფრთხე ემუქრება პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან მოსწავლე უარს აცხადებს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე და ამ წესის მე-20 და 21-ე მუხლებით გათვალისწინებული ნივთის აღმოჩენა სხვაგვარად შეუძლებელია ან მოსწავლე უარს აცხადებს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელებისას აღმოჩენილი ამ წესის მე-20 და 21-ე მუხლებით გათვალისწინებული ნივთის უფლებამოსილი პირისათვის გადაცემაზე.
2. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის დირექცია, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს ფსიქოლოგის ან/და მოძღვრის გამოძახებას, რომლებიც ცალ-ცალკე ესაუბრებიან მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებენ სიტუაციის პირველად მართვას.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაძლებელია უფლებამოსილი პირის/სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენლის/მასწავლებლის მეთვალყურეობით განხორციელდეს მოსწავლის/მოსწავლეების ჩართვა შემდეგ სასკოლო აქტივობებში: მომდევნო დღის გაკვეთილების მომზადება; საგანმანათლებლო პროექტებზე მუშაობა; საგანმანათლებლო რესურსების შექმნა/განახლება; კლასგარეშე ლიტერატურის გაცნობა და ასევე, სკოლა-გიმნაზიის მიერ განსაზღვრული სხვა აქტივობები.
4. უფლებამოსილი პირი ამისამართებს მოსწავლეს სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგთან.
5. მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევების მომენტიდან უფლებამოსილი პირის/მასწავლებლის/ სკოლა-გიმნაზიის დირექციის მიერ, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში – ფსიქოლოგისა და მოძღვრის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა ემსახურებოდეს ისეთ მიზნებს, როგორიცაა მოსწავლის/მოსწავლეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რისკის შემცირება და მოსწავლის/ მოსწავლეების ქცევის მართვა.
6. მოსწავლის განცალკევების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მოსწავლის მიერ შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში – სამართალდამცავ ორგანოს.
7. მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევება უნდა განხორციელდეს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სკოლა-გიმნაზიაში გამოცხადებამდე.
8. მოსწავლის განცალკევების უფლება აქვს უფლებამოსილ პირს.
9. მოსწავლის განცალკევების განხორციელებისას უფლებამოსილი პირი მოსწავლეს, მისთვის გასაგებ ენაზე, განუმარტავს იმ გარემოებებს, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება მოსწავლის განცალკევება.
10. უფლებამოსილი პირი ადგენს მოსწავლის განცალკევების განხორციელების შესახებ ოქმს.

მუხლი 33. მდგომარეობის მართვა

1. მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენლების ან/და მასწავლებლების მდგომარეობის პირველადი შეფასება ხორციელდება:
   ა) ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში - უფლებამოსილი პირის მიერ ფსიქოლოგთან შეთახმებული კითხვარის გამოყენებით.
   ბ) ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში - სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგის ან/და მოძღვრის მიერ.
2. მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენლების ან/და მასწავლებლების მდგომარეობის შემდგომი მართვის მიზნით, ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს ფსიქოლოგი.

3. უფლებამოსილი პირი, სკოლა-გიმნაზიის მიზნების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის ან/და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით გამოიძახოს მოძღვარი, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლეს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს. მოძღვარი ფსიქოლოგთან და უფლებამოსილ პირთან ერთად ახორციელებს სიტუაციის მართვას.
4. მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენლების ან/და მასწავლებლების მდგომარეობის პირველადი შეფასების წესსა და კითხვარს ამტკიცებს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეფასება არის მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენლების ან/და მასწავლებლების მდგომარეობის შემდგომი მართვის მიზნით მათი სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგთან რეფერირების (შემდეგში – რეფერირება) საფუძველი.
6. რეფერირებას ახორციელებს უფლებამოსილი პირი რეფერირების ფორმის შევსებით. რეფერირების ფორმას ამტკიცების სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
7. მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე სკოლა გიმნაზიის დირექციის წარმომადგენლების ან/და მასწავლებლების მდგომარეობის შემდგომი მართვის მიზნით, ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგი.
8. ინფორმაცია მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენლების ან/და მასწავლებლების ფსიქოლოგთან რეფერირების შესახებ არის კონფიდენციალური და დაუშვებელია მისი გამჟღავნება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
9. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კითხვარების შენახვის ვადა განისაზღვრება სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 34. ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევა

1. მოსწავლეებისათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის, აგრეთვე სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენლებისათვის ან/და მასწავლებლებისათვის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგი.
2. ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევის საფუძველია:
   ა) უფლებამოსილი პირის მიერ მოსწავლის, მისი კანონიერი წამომადგენლის, სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენლის ან/და მასწავლებლის რეფერირება;
   ბ) მოსწავლის მიერ ფსიქოლოგისთვის მიმართვა;
   გ) მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ ფსიქოლოგისთვის მოსწავლისათვის ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის მოთხოვნით მიმართვა;
   დ) სკოლა-გიმნაზიის დირექციისა და მასწავლებლის მიმართვა;
   ე) სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგის მიერ ინტერვენციის დროს შემთხვევის იდენტიფიცირება.
3. დაუშვებელია მოსწავლისათვის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ მისი კანონიერი წარმომადგენელი არ არის ინფორმირებული.
4. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ მოსწავლისათვის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, ფსიქოლოგი უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას სკოლა-გიმნაზიის დირექციისთვის, მოსწავლის კლასის ხელმძღვანელისთვის და სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსათვის.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ინფორმირების მიზნით, სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგი ავსებს ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათს „ბავშვთა დაცვის

.

მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილების შესაბამისად.

6. მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მოსწავლის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევის ფარგლებში, ფსიქოლოგი უზრუნველყოფს შესაბამისი კონსულტაციების გაწევას მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლებისთვის, მასწავლებლებისთვის, კლასის ხელმძღვანელებისთვის, სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენლებისათვის, ასევე სხვა პირებისთვის, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ მოსწავლის ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობაზე.

მუხლი 35. მედიაცია

1. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია, მოსწავლეებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში უზრუნველყოს დაპირისპირებულ მოსწავლეებს შორის მედიაცია, მათი კანონიერი წარმომადგენლების, უფლებამოსილი პირისა და ფსიქოლოგის ან/და მოძღვრის ჩართულობით.
2. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია, გაატაროს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც, მოსწავლეების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მიმართული იქნება კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტისკენ.

თავი IV. სკოლა-გიმნაზიის ვიდეომონიტორინგის სისტემით აღჭურვისა და ადმინისტრირების წესი

მუხლი 36. სკოლა-გიმნაზიის ვიდეომონიტორინგის სისტემით აღჭურვის წესი

1. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია, უზრუნველყოს სკოლა-გიმნაზიის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომონიტორინგის სისტემით აღჭურვა.
2. სკოლა-გიმნაზიის შიდა პერიმეტრზე განთავსებული ვიდეომონიტორინგის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს სკოლა-გიმნაზიის ყველა დერეფნის, შესასვლელისა (ფოიე) და კიბის უჯრედის ვიდეომონიტორინგისა და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას.
3. დაუშვებელია ვიდეომონიტორინგის განხორციელება სკოლა-გიმნაზიის საპირფარეშოში, გამოსაცვლელ ოთახებში, საკლასო ოთახებსა და სამასწავლებლოში.
4. სკოლა-გიმნაზიის გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეომონიტორინგის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს სკოლა-გიმნაზიის გარე პერიმეტრის (მათ შორის სპორტული მოედანი, ბაღი, სკვერი, და სხვა) სრულად ვიდეომონიტორინგსა და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას.
5. ვიდეომონიტორინგის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომონიტორინგს, უნდა შეესაბამებოდეს „ავტომატური ფოტო- და ვიდეოტექნიკის ტექნიკური მახასიათებლებისა და მათი ექსპლუატაციის წესის, აგრეთვე იმ შენობა-ნაგებობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა გარე პერიმეტრზე სავალდებულოა ავტომატური ფოტო- ან/და ვიდეოტექნიკის განთავსება/დამონტაჟება“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის №101 დადგენილებით განსაზღვრულ ვიდეომონიტორინგის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. სკოლა-გიმნაზიის დირექცია ვალდებულია, იზრუნოს სკოლა-გიმნაზიის ვიდეომონიტორინგის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე, მათ შორის, ვიდეომონიტორინგის სისტემის „ლოგირების“ მექანიზმის უზრუნველყოფაზე და უფლებამოსილი პირის მიმართვის შემთხვევაში, უზრუნველყოს ყველა იმ ხარვეზის გამოსწორება და პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას უფლებამოსილი პირის მიერ ვიდეომონიტორინგის სისტემით სარგებლობისას.

მუხლი 37. სკოლა-გიმნაზიის ვიდეომონიტორინგის სისტემის ადმინისტრირების წესი

1. ვიდეომონიტორინგის სისტემის ყოველდღიურ გამოყენებას (სკოლა-გიმნაზიის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერება, ვიდეოჩანაწერის დათვალიერება/გადახვევა ან/და ვიდეოჩანაწერის ადგილზე გაცნობა, ვიდეოჩანაწერის ამოღება ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი პირის/უწყების/დაწესებულების/სკოლა-გიმნაზიის სტრუქტურული ერთეულისათვის გადაცემა) და ადმინისტრირებას (ვიდეომონიტორინგის სისტემის გამართულობის შემოწმება, მომხმარებლის სახელისა და პაროლის შექმნა/რედაქტირება/წაშლა, თარიღისა და დროის შეცვლა, მომხმარებლის ენის შეცვლა, ჩანაწერების ხარისხის შესწორება, გამორთული კამერის პროგრამულად ჩართვა, ჩამწერი მოწყობილობის ნებისმიერი ფუნქციის ჩართვა და გამორთვა, ჩამწერი მოწყობილობის ტექნიკური შესაძლებლობების ნახვა, ჩამწერი მოწყობილობის „ლოგირების“ ჟურნალის კონტროლი, ჩამწერი მოწყობილობის მეხსიერების ბარათის დაფორმატება) უზრუნველყოფს უსაფრთხოების დაცვის სამსახური / უფლებამოსილი პირი.
2. ვიდეომონიტორინგის სისტემის გამოყენებისა და ადმინისტრირების წესი და პირობები განისაზღვრება სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით.
3. ვიდეომონიტორინგის სისტემის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია სკოლა-გიმნაზიის ინფორმაციული ტექნოლოგი.
4. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია, სკოლა-გიმნაზიის შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეომონიტორინგის სისტემით ვიდეოჩაწერა აწარმოოს მთელი სასკოლო დროის განმავლობაში, ხოლო გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეომონიტორინგის სისტემით ვიდეოჩაწერა – მუდმივად.
5. ვიდეოჩაწერის შედეგად მიღებული ელექტრონული ინფორმაცია, შესაბამისი ჩანაწერებით, არანაკლებ 30 დღისა უნდა ინახებოდეს სათანადოდ დაცულ ადგილზე და დასაბუთებული მოთხოვნისთანავე უნდა წარედგინოს სკოლა-გიმნაზიის დირექციას, უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს, ასევე სამართალდამცავ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია უზრუნველყოს ვიდეოჩანაწერის ადგილზე გაცნობა მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისათვის.
7. ელექტრონული ინფორმაციის შენახვაზე და კონფიდენციალურობის დაცვაზე პასუხისმგებელია უფლებამოსილი პირი. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ინფორმაციის შესანახად სათანადოდ დაცული ადგილის გამოყოფა უფლებამოსილი პირისთვის.

თავი V. უსაფრთხოების დაცვის სამსახურის საქმიანობის წესი

მუხლი 38. უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომლის უფლება-მოვალეობები

1. უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომლის უფლება-მოვალეობებია:
   ა) სკოლა-გიმნაზიისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის კონტროლი;
   ბ) მოსწავლეების, მასწავლებლების, სკოლა-გიმნაზიის დირექციისა და სკოლა-გიმნაზიის სხვა პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფა სკოლა-გიმნაზიასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე;
   გ) კატასტროფის (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა) დროს მოსწავლეთა, სკოლა-გიმნაზიაში მომუშავე და იქ მყოფი სხვა პირების დაცვისა და ევაკუაციისათვის ხელის შეწყობა, აგრეთვე კატასტროფისათვის მზადყოფნის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვაში, მომზადებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;
   დ) დამოუკიდებლად ან სკოლა-გიმნაზიის დირექციასთან ერთად სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე წესრიგისა და დისციპლინის დაცვა;
   ე) სკოლა-გიმნაზიის შენობისა და სკოლა-გიმნაზიის შენობაში მდებარე ტაძრის დაცვა;
   ვ) სკოლა-გიმნაზიაში ვიდეომონიტორინგის სისტემის ადმინისტრირება;
   ზ) უსაფრთხოების დაცვის სამსახურის შემადგენლობაში შედიან: უსაფრთხოების დაცვის სამსახურის უფროსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კომენდანტი, ღამის დარაჯი.

.

მუხლი 39. უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომლის მიერ ძალის გამოყენების შემთხვევები და წესი

1. უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომელს ფიზიკური ძალის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც მსუბუქი ზომების გამოყენებით შეუძლებელია მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. გამოყენებული ფიზიკური ძალა წარმოქმნილი საფრთხის პროპორციული უნდა იყოს.
2. უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომელს ფიზიკური ძალის გამოყენების უფლება, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი პირობის გათვალისწინებით, აქვს შემდეგ შემთხვევებში:
   ა) სამართალდარღვევის აღკვეთისას;
   ბ) მაშინ, როდესაც საფრთხე ემუქრება სკოლა-გიმნაზიაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფი პირების სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;
   გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოსათვის წარსადგენად დამნაშავის შეპყრობისას, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ეს პირი მიიმალება ან გარშემომყოფთ ზიანს მიაყენებს.
3. ფიზიკური ძალის გამოყენების დროს უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომელი ვალდებულია:
   ა) გააფრთხილოს პირი ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ და მისცეს მას საკმარისი დრო მისი მოთხოვნების შესასრულებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაყოვნება საფრთხეს შეუქმნის უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომელს ან სხვა პირების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან გამოიწვევს სხვა მძიმე შედეგებს, ან როდესაც პირის გაფრთხილება შეუძლებელია;
   ბ) ფიზიკური ძალა გამოიყენოს წარმოქმნილი საფრთხის ხასიათის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მიყენებული ზიანი მინიმალური უნდა იყოს;
   დ) საფრთხე არ შეუქმნას გარშემომყოფთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.
4. აკრძალულია ფიზიკური ძალის ფეხმძიმე ქალის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ გამოყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი მოქმედებით აშკარა საფრთხე ექმნება უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომელს ან სხვა პირების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.
5. მოსწავლის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენების შემთხვევაში ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორსა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.
6. უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომლის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენების შემთხვევაში დგება ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ ოქმი. ამ ოქმში, სხვა ინფორმაციის მითითებასთან ერთად, უნდა დასაბუთდეს ფიზიკური ძალის გამოყენების აუცილებლობა.

თავი VI. უფლებამოსილი პირი

მუხლი 40. უფლებამოსილი პირის უფლება-მოვალეობები

1. უფლებამოსილი პირი ახორციელებს ამ წესით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს.
2. უფლებამოსილი პირი უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად უზრუნველყოფს სკოლა-გიმნაზიაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას.
3. უფლებამოსილი პირი, უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, უფლებამოსილია განახორციელოს:
   ა) სკოლა-გიმნაზიის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერება ვიდეომონიტორინგის სისტემის საშუალებით;
   ბ) სკოლა-გიმნაზიაში ვიდეომონიტორინგის სისტემის ადმინისტრირება;
   გ) სკოლა-გიმნაზიის შიდა და გარე პერიმეტრის არადისტანციური დათვალიერება.

4. საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას, სკოლა-გიმნაზიის გარე პერიმეტრის დათვალიერება ხორციელდება ვიდეომონიტორინგის სისტემის საშუალებით. სკოლა-გიმნაზიის გარე პერიმეტრის არადისტანციური დათვალიერება უფლებამოსილმა პირმა უნდა განახორციელოს სისტემატურად.
5. უფლებამოსილი პირი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლა-გიმნაზიის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერებას, დარღვევის/სავარაუდო დარღვევის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს სკოლა-გიმნაზიის დირექციას.
6. უფლებამოსილი პირის მიერ უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების შემდეგ, უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს ოქმის შედგენას №1 დანართით გათვალისწინებული ფორმით.
7. უფლებამოსილი პირის მიერ მოსწავლის განცალკევების შემდეგ, უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს ოქმის შედგენას №2 დანართით გათვალისწინებული ფორმით.
8. უფლებამოსილი პირის/უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომლის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენების შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ დგება ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ ოქმი №3 დანართით გათვალისწინებული ფორმით.
9. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელებისას, უფლებამოსილი პირი იყენებს მეტალოდეტექტორს.

თავი VII. წესის დარღვევა

მუხლი 41. წესის დარღვევა

1. ამ წესის დარღვევა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია, უზრუნველყოს შინაგანაწესში ამ წესის დარღვევისათვის შესაბამისი დისციპლინური ღონისძიებების განსაზღვრა, დარღვევის შედეგების სიმძიმის გათვალისწინებით.

დანართი №1

უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების ოქმი №_____

1. ----------

(შედგენის დრო და თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

2. _____

(ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი გვარი)

3. პირი/ნივთი, რომელსაც უტარდება უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება:

/----------/ /----------/

(სახელი და გვარი) (ნივთის დასახელება)

4. ფაქტის აღწერა (რა გარემოების საფუძველზე, რა მიზნით, სად, რა პირობებში, ვისი თანდასწრებითა და მონაწილეობით განხორციელდა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება):

_____

_____

_____

_____

_____

5. მოსწავლისადმი უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისათვის შეტყობინება და შეტყობინების დრო

(მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სახელი და გვარი)

6. პირი, რომელიც ესწრებოდა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას:

ა) ---------- ბ) ----------

(სახელი და გვარი) (თანამდებობის დასახელება)

მოსწავლე, რომლის მიმართაც განხორციელდა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება

_____

დამსწრე პირი

(ხელმოწერა)

ოქმის შემდგენი

(ხელმოწერა)

დანართი №2

განცალკევების ოქმი №_____

1. ----------

(შედგენის დრო და თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

2. ----------

(ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი გვარი)

3. განცალკევებული სუბიექტი:

ა) ----------

(სახელი და გვარი)

4. პირი, რომელიც ესწრებოდა განცალკევების პროცესს:

ა) ---------- ბ) ----------

(სახელი და გვარი) (თანამდებობის დახელება)

5. ფაქტის აღწერა (რა გარემოების საფუძველზე, რა მიზნით, სად, რა პირობებში, ვისი თანდასწრებითა და მონაწილეობით განხორციელდა განცალკევება):

---

6. მოსწავლის განცალკევების განხორციელების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისათვის შეტყობინება და შეტყობინების დრო

(მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სახელი და გვარი)

დამსწრე პირი

(ხელმოწერა)

მოსწავლე, რომლის მიმართაც განხორციელდა განცალკევება

(ხელმოწერა)

ოქმის შემდგენი

(ხელმოწერა)

მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი, რომელმაც მოაკითხა მოსწავლეს

(ხელმოწერა)

დანართი №3

ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ ოქმი №_____

1. ----------

(შედგენის დრო და თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

2. ----------

(ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი გვარი)

3. პირი, ვის მიმართაც გამოყენებული იქნა ფიზიკური ძალა:

---

4. ფაქტის აღწერა (ფიზიკური ძალის გამოყენების აუცილებლობის დასაბუთება):

---

5. პირი, რომელიც შეესწრო ფიზიკური ძალის გამოყენების ფაქტს:

ა) ---------- ბ) ----------

(სახელი და გვარი) (თანამდებობის დასახელება)

6. მოსწავლისადმი ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისათვის შეტყობინება და შეტყობინების დრო

(მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სახელი და გვარი)

დამსწრე პირი

(ხელმოწერა)

მოსწავლე, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა ფიზიკური ძალა

(ხელმოწერა)

ოქმის შემდგენი

(ხელმოწერა)

მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი

(ხელმოწერა)